

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 17

08 აგვისტო 2008 წელი

ქ. ბათუმი

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის
დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი/საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარსადგენი ინფორმაცია (წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის თაობაზე) (ფორმა №5-07.03.01)

ბ) გაზეთის მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარსადგენი ინფორმაცია (წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გაზეთის ფართობის გამოყოფის თაობაზე) (ფორმა №5-07.04.01.)

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია

სამუშაო დღეები

ექმენი დღეები

A3 ფორმატის ჩანართის ღირებულება – _____ ლარი;

A4 ფორმატის ჩანართის ღირებულება – _____ ლარი.

დანართი №2